# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ელექტრონული სისტემა

*evaluate.eqe.ge*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თვითშეფასების ელექტრონული სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

# პლატფორმის აღწერა

ზოგადსაგანამათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, წარმოადგენს თვითშეფასების ელექტრონულ, 360 გრადუსიან ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც ზოგადსაგანათლებლო დაწესებულება, ახორციელებს თვითშეფასების პროცესს. პლატფორმაზე თვითშეფასების პროცესში ჩართული არიან დაწესებულების მხრიდან შემდეგი მონაწილეები:

- დაწესებულების ადმინისტრაცია
- დაწესებულების მასწავლებლები
- მოსწავლეები
- მშობლები

თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმა წარმოადგენს ვებ-აპლიკაციას ის ხელმისაწვდომია ნებისმიერი ბრაუზერიდან მისამართზე evaluate.eqe.ge



# სისტემაში შესვლა

evaluate.eqe.ge მისამართზე შესვლისას, სისტემა მოგთხოვთ ავტორიზაციის გავლას. ავტორიზაცია ხორციელდება სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლის ელ.ფოსტის ან ტელეფონის და პაროლის გამოყენებით.

ელ.ფოსტა და ტელეფონი მუშაობს ცალ-ცალკე, შეგიძლიათ გამოიყენოთ რომელიმე მათგანი.



არასწორი მონაცემების შეყვანის შემთხვევაში, სისტემა შეგატყობინეთ, რომ შეყვანილი მონაცემების კომბინაცია არ მუშაობს.




ასეთი შემთხვევის დროს საჭიროა გამოვიყენოთ პაროლის გახსენების ფუნქცია.

**დამიმახსოვრე** ღილაკი დაიმახსოვრებს მომხმარებლის სესიას სისტემაში, სესიის მაქსიმალური ხანგძლივობა არის 5

# პაროლის გახსენება

პაროლის გასახსენებლად უნდა დააკლიკოთ ბმულს,
“**დაგავიწყდათ პაროლი**?”




შეგყავთ ტელეფონი ან ელ.ფოსტა და დააკლიკებთ ღილაკს პაროლის გახსენება. აღნიშნულ ველში მუშაობს როგორც ტელეფონის, ისე ელ.ფოსტის ფუნქცია. უბრალოდ შეიყვანეთ ის, რომელიც გახსოვთ და დროებით პაროლს მიიღებთ როგორც ელ.ფოსტაზე ისე მობილურზე.

თუ არც ელ.ფოსტა არ გახსოვთ და არც ტელეფონი, ასეთ შემთხვევაში მიმართეთ ცენტრის თანამშრომელს.

# პლატფორმაზე რეგისტრაცია

რეგისტრაციისთვის, გთხოვთ მიყვეთ ბმულს პლატფორმის საწყის გვერდზე “**რეგისტრაცია**”, სადაც გამოვა ფანჯარა, რომელიც მოგთხოვს შევიყვანოთ პირადი ნომერი.




პირადი ნომრის სწორად შეყვანის შემდეგ სისტემა ავტომატურად შეავსებს თქვენს პირად მონაცემებს და მხოლოდ პაროლის შეყვანა დაგჭირდებათ.

პაროლი უნდა იყოს მინიმუმ 8 სიმბოლო და სასურველია გამოიყენოთ სხვადასხვა ტიპის სიმბოლოები და კომბინაციები.

იმ შემთხვევაში, თუ პლატფორმა არ ავსებს მონაცემებს პირადი ნომრის შეყვანის შემდეგ მიმართეთ ადმინისტრაციას.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მონაცემები არასწორია, შეგიძლიათ ჩაასწოროთ

# პლატფორმაზე რეგისტრაცია




შეიყვანეთ პაროლი, გაიმეორეთ პაროლი და დააკლიკეთ ღილაკს **რეგისტრაცია**. წარმატებული რეგისტრაციის შემდეგ სისტემა გადაგამისამართებთ პლატფორმის შიდა პანელში.

# საწყისი გვერდი (ადმინისტრაცია)

რეგისტრაციის შემდეგ პლატფორმა გადაგამისამართებთ პლატფორმის საწყის გვერდზე. საწყის გვერდზე წარმოდგენილია მარტივი სტატისტიკა დაწესებულებების შესახებ.




ნავიგაცია შესაძლებელია მარცხენა მენიუს საშუალებით.

სადაც წარმოდგენილია ძირითადი სამუშაო მოდულები

- საწყისი გვერდი
- თვითშეფასების ფორმები
- ხშირად დასმული კითხვები
- წარმომადგენლები
- ანალიტიკა
- საგანმანათლებლო პროგრამა



# საგანმანათლებლო პროგრამა(ადმინისტრაცია)

პირველი ეტაპზე დაწესებულებამ საჭიროა შეარჩიოს საგანმანათლებლო პროგრამები რომელსაც ახორციელებს. ამისთვის უნდა ვეწვიოთ მარცხენა მენიუში მოდულს “საგანმანათლებლო პროგრამა”.

გთხოვთ აირჩიოთ საგანმანათლებლო პროგრამა

ძებნა:

| სახელი | კოდი | ქმედება |
|---|---|---|
| დაწყებითი | 1 | მონიშვნა |
| საბაზო | 2 | მონიშვნა |
| საშუალო | 3 | მონიშვნა |

პროგრამის ასარჩევად დავაჭერთ ღილაკს **მონიშვნა**. პროგრამის არჩევა თვითშეფასების დაწყების აუცილებელი წინაპირობაა, რადგან სხვა შემთხვევაში სისტემა არ მოგცემს თვითშეფასების განხორციელების საშუალებას.

მონიშნული პროგრამის გასაუქმებლად, უნდა დავაკლიკოთ მონიშნულ პროგრამასთან არსებულ ღილაკს “**მონიშნულია**”

| სახელი | კოდი | ქმედება |
|---|---|---|
| დაწყებითი | 1 | მონიშნულია |
| საბაზო | 2 | მონიშვნა |
| საშუალო | 3 | მონიშვნა |

# წარმომადგენლები (ადმინისტრაცია)

ადმინისტრაციას შეუძლია თვითშეფასების ჯგუფის შექმნა, “წარმომადგენლების მოდულის” საშუალებით. ამისთვის ვეწვიოთ მარცხენა მენიუს და ავირჩიოთ წარმომადგენლები. ამისათვის შევდივართ მოდულში და ვაკლიკებთ ღილაკს “**წინასწარი რეგისტრაცია**”




მოდულში თქვენ ასევე იხილავთ რეგისტრირებული მომხმარებლების სიას. შეგეძლებათ წაშალოთ მონაწილეები ან დაამატოთ.

გაითვალისწინეთ, რომ წინასწარი რეგისტრაციისას ხდება მხოლოდ მონაწილის მონაცემების დამატება სისტემაში, მონაწილეები კი თავად ასრულებენ რეგისტრაციას პლატფორმის რეგისტრაციის გვერდზე პირადი ნომრის შეყვანით.

პლატფორმაზე თვითშეფასება შეიძლება შეავსოს მხოლოდ 1-მა წარმომადგენელმა ადმისტრაციის მხრიდან. ხოლო მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი შესაძლებელია იყოს რამდენიმე.

# წარმომადგენლები (ადმინისტრაცია)

წარმომადგენლის დამატებისთვის უნდა დავაკლიკოთ ღილაკზე “**წინასწარი რეგისტრაცია**” რომელიც გამოიტანს რეგისტრაციის ფანჯარას.




მოდულში თქვენ ასევე იხილავთ რეგისტრირებული მომხმარებლების სიას. შეგეძლებათ წაშალოთ მონაწილეები ან დაამატოთ.

შეგვყანს მონაწილის პირადი მონაცემები და ვაჭერთ ღილაკს “**დამახსოვრება**”.

ნებისმიერი ტიპის მონაწილის რეგისტრაციისას აუცილებელია ავირჩიოთ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც აფასებს მონაწილე.

# თვითშეფასება (ადმინისტრაცია)

თვითშეფასების ფორმის შესავსებად გთხოვთ ეწვიოთ მოდულს “თვითშეფასების ფორმები”.




ფორმის შევსების დასაწყებად უნდა დავაკლიკოთ ღილაკს “**შევსება**”.

მოდულში შესვლისას დაგხვდებათ აქტიური კითხვარი.

იმ შემთხვევაში თუ კითხვარი არ არის აქტიური, შესაძლებელია რომ პლატფორმაზე

- არ მოგვინიშნავს საგანმანათლებლო პროგრამა
- არ დაგვიმატებია სხვა მომხმარებლები



# თვითშეფასების შევსება (ადმინისტრაცია)

მას შემდეგ რაც დავაკლიკებთ ღილაკს **შევსება,** პლატფორმა გაგვიხსნის თვითშეფასების ფორმას.




## თვითშეფასების ფორმა შედგება

- სტანდარტის დასახელება
- კომპონენტი
- კითხვა

## ყოველ კითხვას აქვს შემდეგი სტრუქტურა

- კითხვა/დებულება
- თვითშეფასება
- მტკიცებულების ატვირთვა
- კომენტარის, აღწერის გრაფა

# თვითშეფასების შევსება (ადმინისტრაცია)

თვითშეფასების სკალა წარმოდგენილია შემდეგი ფორმით




სრულად შეესაბამება, მეტწილად შეესაბამება, ნაწილობრივ შეესაბამება, არ შეესაბამება

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**




მტკიცებულებების ატვირთა შესაძლებელია ღილაკის "**აირჩიეთ მტკიცებულება**" საშუალებით.

შესაძლებელია რამდენიმე მტკიცებულების ატვირთვა/წაშლა ან ჩანაცვლება

# თვითშეფასების შევსება (ადმინისტრაცია)

თითოეულ კომპონენტს დათმობილი აქვს ერთი გვერდი, რომელთა შორის ნავიგაციაც შესაძლებელია გვერდის ბოლოს არსებული პაგინაციით.




აქვე შესაძლებელია, რომ იხილოთ თუ ვინ შეავსო ან არ შეავსო კითხვარი უკვე. “**შეხსენება”** ღილაკის საშუალებით თქვენ შეძლებთ შეახსენოთ მონაწილეს კითხვარის შევსება.




ღილაკი “**მონაცემების შენახვა**” შეინახავს მონაცემებს, რომელიც შეავსეთ, ხოლო “**გაგზავნა**” ღილაკი მონაცემებს ხელმისაწვდომს გახდის ცენტრის მომხმარებლებისთვის.

სასურველია, მონაცემები შეინახოთ ყოველი გვერდის დასრულების შემდეგ.

# თვითშეფასების შევსება (ადმინისტრაცია)

იმ შემთხვევაში, თუ აირჩევთ თვითშეფასებაში “მეტწილად შეესაბამება”, “ნაწილობრივ შეესაბამება” ან “არ შეესაბამება”, აუცილებელია კომენტარის ველის შევსება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემა არ მოგცემთ საშუალებას დაასრულოთ თვითშეფასების პროცესი.




ასევე სისტემა არ მოგცემთ საშუალებას დაასრულოთ თვითშეფასება, თუ რომელიმე კითხვის შევსებისას არ აირჩიეთ თვითშეფასება. სისტემა წითელი ნიშნულის სახით მიგვანიშნებს იმ გვერდების შესახებ, რომელზეც დაფიქსირდა შეცდომა.






# თვითშეფასების შევსება (ადმინისტრაცია)

კომენტარის დამატების ველი, რომლის შევსებაც გამოგვრჩა ასე გამოიყურება.




ხოლო თუ არ შეგირჩევიათ თვითშეფასება, სისტემა ასევე მიგვანიშნებს წითელი ხაზის საშუალებით.




აღნიშნული მინიშნებები აქტიურდება მხოლოდ მაშინ, როცა ვაჭერთ ღილაკს "გაგზავნა". პრობლემის გამოსწორების შემთხვევაში დავაკლიკებთ ღილაკს გაგზავნა, რაც მოგცემს კითხარის დასრულების საშუალებას.



# შესაბამისობის გეგმა (ადმინისტრაცია)

თვითშეფასების კითხვარის დასრულების შემდეგ სისტემა გადაგვამისამართებს შესაბამისობის გეგმის მოდულში.

**შესაბამისობის გეგმა**

10 ჩანაწერების ჩვენება

ძებნა:

| ქვესტანდარტის დასახელება | მიმდინარე შედეგი | დედლაინი | სამოქმედო გეგმა |
|---|---|---|---|
| **1.1.** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | სრულად შეესაბამება | არ არის მითითებული | რედაქტირება |
| **1.2.** სკოლის დაგეგმვა და განვითარება | არ შეესაბამება | არ არის მითითებული | რედაქტირება |
| **2.1.** კურიკულუმის შემუშავება<br>დაწყებითი | სრულად შეესაბამება | არ არის მითითებული | რედაქტირება |
| **2.2.** კურიკულუმის განხორციელება<br>დაწყებითი | ნაწილობრივ შეესაბამება | არ არის მითითებული | რედაქტირება |
| **2.3.** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება<br>დაწყებითი | ნაწილობრივ შეესაბამება | არ არის მითითებული | რედაქტირება |

იმ კომპონენტებზე, რომელზედაც დაფიქსირდა თვითშეფასება “მეტწილად შეესაბამება”, “ნაწილობრივ შეესაბამება”, აუცილებელია შესაბამისობის გეგმის შევსება. სხვა შედეგებზე შესაბამისონის გეგმის შევსება ნებაყოფლობითია. გეგმის შესავსებად დავაკლიკოთ ღილაკს **რედაქტირება.**

| | | | |
|---|---|---|---|
| **2.2.** კურიკულუმის განხორციელება<br>დაწყებითი | ნაწილობრივ შეესაბამება | არ არის მითითებული | რედაქტირება |
| **2.3.** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება<br>დაწყებითი | ნაწილობრივ შეესაბამება | არ არის მითითებული | რედაქტირება |
| **2.4.** კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია<br>დაწყებითი | ნაწილობრივ შეესაბამება | არ არის მითითებული | რედაქტირება |
| **3.1.** პერსონალის მართვა | მეტწილად შეესაბამება | არ არის მითითებული | რედაქტირება |

# გეგმის შევსება (ადმინისტრაცია)

რედაქტირება ღილაკზე დაკლიკების შემდეგ გამოვა ფანჯარა.




ღილაკის საშუალებით შესაძლებელია რამდენიმე აქტივობის დამატება, რაც გამოიტანს შესავსებ ველებს, რომელთა შევსების შემდეგაც უნდა დააკლიკოთ ღილაკს **დამახსოვრება.**






# გეგმის შევსება (ადმინისტრაცია)

ყველა გეგმის შევსების შემდეგ რედაქტირება ღილაკი გამწვანდება, ხოლო თვითშეფასების გაგზავნა ღილაკი გააქტიურდება




ღილაკზე დაკლიკების შემდეგ, კითხვარი გაიგზავნება და გააქტიურდება **PDF გადმოწერა** ღილაკი, რომელიც მოგცემთ საშუალებას ჩამოვტვირთოთ შესაბამისობის გეგმა PDF ფორმატში.



# მიმდინარე თვითშეფასება (ადმინისტრაცია)

მიმდინარე სტატისტიკის მოდული გაძლევთ საშუალებას იხილოთ დაწესებულების მიმდინარე თვითშეფასებაზე ზოგადი ინფორმაცია, ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით.




მიმდინარე თვითშეფასება გვაჩვენებს კომპონენტების მიხედვით თვითშეფასების შედეგებს და ასევე შესაძლებელია შევადაროთ სხვადასხვა მონაწილეების დაფიქსირებული თვითშეფასებები ერთმანეთს.

მიმდინარე სტატისტიკის ბოლოს თქვენ შეგიძლიათ იხილოთ შევსებული კითხვარები “**სრულად ნახვა**” ღილაკის საშუალებით.



# მიმდინარე თვითშეფასება (ადმინისტრაცია)

მიმდინარე თვითშეფასებაში ასევე შეგიძლიათ ნახოთ სკოლის სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი, რაც გაძლევთ საშუალებას ერთიან სურათში დაინახოთ დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში.

### სკოლის შესაბამისობა სტანდარტებთან

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სტანდარტი 1. სკოლის ფილოსოფია** | | | | |
| **1.1.** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | არ შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | სრულად შეესაბამება |
| **1.2.** სკოლის დაგეგმვა და განვითარება | არ შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | სრულად შეესაბამება |
| **სტანდარტი 2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი** | | | | |
| **2.1.** კურიკულუმის შემუშავება | არ შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | სრულად შეესაბამება |
| **სტანდარტი 2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო** | | | | |
| **2.2.** კურიკულუმის განხორციელება | არ შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | სრულად შეესაბამება |
| **სტანდარტი 2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო** | | | | |

# განვითარების გზა (ადმინისტრაცია)

თვითშეფასების წლების მიხედვით შესადარებლად ეწვიეთ განვითარების გზის მოდულს. შესადარებლად აირჩიეთ შესადარებელი წლები.






# ხშირად დასმული შეკითხვები (ადმინისტრაცია)

ხშირად დასმული შეკითხვების სანახავად, გთხოვთ ეწვიოთ მოდულს “ხშირად დასმული შეკითხვები.”




ხშირად დასმული შეკითხვების გვერდი განახლებადია და პერიოდულად დაემატა სხვადასხვა ტიპის ტექნიკური და შინაარსობრივი საკითხები.

# ანგარიშის მართვა (ადმინისტრაცია)

ანგარიშის სამართავად ეწვიოთ პროფილის ხატულას, მარჯვენა ზედა კუთხეში და დააკლიკეთ.




გამოიტანს მენიუს სადაც შეგიძლიათ აარჩიოთ პროფილი.




პროფილის მართვის დროს თქვენ შეძლებთ შეცვალოთ პაროლი და სხვა პირადი ინფორმაცია სისტემაში, მაგ, ელ.ფოსტა, ტელეფონი, სახელი და გვარი.



# თვითშეფასება (მონაწილე)


სტანდარტი 1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

თვითშეფასება აირჩიეთ

კომენტარი

მტკიცებულება აირჩიეთ ფაილები

## თვითშეფასების ფორმა შედგება

- სტანდარტის დასახელება
- კომპონენტი
- კითხვა

## ყოველ კითხვას აქვს შემდეგი სტრუქტურა

- კითხვა/დებულება
- თვითშეფასება
- მტკიცებულების ატვირთვა
- კომენტარი

## თვითშეფასების სკალა მონაწილისთვის

- სრულად ვეთანხმები
- მეტწილად ვეთანხმები
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

# თვითშეფასება (მონაწილე)

თვითშეფასების ფორმის შევსებისას, გვერდებს შორის ნავიგაცია შეგიძლიათ გვერდის ბოლოს დანომრილი პაგინაციის საშუალებით.

მონაცემების შენახვა ღილაკი საშუალებით, შესაძლებელია მონაცემების შენახვა. შენახვის ფუნქციის გამოყენება რეკომენდირებულია თითოეულ გვერდზე.




იმ შემთხვევაში, თუ არ აგვირჩევია თვითშეფასება რომელიმე გვერდზე, სისტემა შეგვატყობინებს გაგზავნამდე. კომენტარის ველის შევსება არ არის აუცილებელი. ყველა თვითშეფასების არჩევის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს გაგზავნა, რაც დაასრულებს თვითშეფასებას მონაწილისთვის.






# ხშირად დასმული შეკითხვები (მონაწილე)

ხშირად დასმული შეკითხვების სანახავად, გთხოვთ ეწვიოთ მოდულს “ხშირად დასმული შეკითხვები.”



# ანგარიშის მართვა (მონაწილე)

ანგარიშის პარამეტრების სამართავად დააკლიკეთ მომხმარებლის ხატულას, მარცხენა ზედა კუთხეში და აირჩიეთ პროფილი.








პროფილი

სახელი
ზურა
გვარი
ჩრდილელი
ელ. ფოსტა
zura@chrdili.ge
ტელეფონი
577909887
პაროლი
დატოვეთ ცარიელი თუ არ გინდათ შეცვლა
პაროლის გამეორება
დატოვეთ ცარიელი თუ არ გინდათ შეცვლა
განახლება

აღნიშნული გვერდის საშუალებით შეგიძლიათ შეცვალოთ პაროლი ან სხვა პირადი მონაცემები. მუშაობის დასრულების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს გამოსვლა.